საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მოკიდებული“

„მოკიდებული“, მოკიდული, ფეოდალური დაჯგუფების სახეობა ძვ. საქართველოში. ამ სახის დაჯგუფებაში ერთიანდებოდნენ ერთი მრწამსითა და მიზნით გაერთიანებული ფეოდალთა საგვარეულოები. ერთი პირის (თუ სახლის) გარშემო ასეთ თავისუფალ გაერთიანებებს საერთო სოც.-*პოლიტ.* მიზანი ჰქონდა – სოციალურად შედარებით „დაბლა საფეხურზე მყოფთათავის („დაბლა მდგომთათვის“) ეს იყო სოციალურად და პოლიტიკურად წინ წაწევის („მაღლა დგომის“, „სისხლის გადიდების“) საშუალება. „მაღლა მდგომთა“ სიძლიერის ერთ-ერთ ფაქტორს „მ-თა“ სიმრავლე წარმოადგენდა. მოკიდება, ანუ მფარველობაში შესვლა „დამოყვრება-დამძახლებით“, სახლის კაცად „შეყრით“, „მოდგომა-მოსამართლეობით“ ხდებოდა.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში „მ.“ ერთი სახელმწიფოს მეორის მფარველობაში შესვლას, ანუ „კალთის მოკიდებას“ აღნიშნავდა. „მ.“ ეს იყო ფეოდალური ხანის „პარტია“ (ნ. ბერძენიშვილი).

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I – ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952.